რეინტეგრაცია, როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტული ზრუნვის ფორმა და ამ პროცესთან დაკავშირებული პრობლემები ბავშვთან და მის ბიოლოგიურ ოჯახთან მიმართებაში

მაგისტრანტი: ია ცილიკიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ პრობლემების განსაზღვრა, რომლებიც თან ახლავს ბავშვზე ზრუნვის ოჯახის ჩამნაცვლებელ, 24 საათიან მომსახურებებიდან (სააღმზრდელო დაწესებულებებიდან) ბიოლოგიურ ოჯახებში ბავშვების რეინტეგრაციის პროცესს.

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში მოკლედ არის განხილული თუ რა არის ოჯახი, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რა როლი და ფუნქცია აქვს მას ბავშვის განვითარების პროცესში. გარდა ამისა, განხილულია ის პრობლემები, რაც თან ახლავს ინსტიტუციურ აღზრდას. ყურადრება განსაკუთრებით გამახვილებულია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესსაა და მის შემდგომ პრობლემებზე.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარით.

კვლევის ჩატარების შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვები, რომლებიც რეინტეგრიდნენ ბავშვზე ზრუნვის ოჯახის ჩამნაცვლებელ, 24 საათიან მომსახურებებიდან (სააღმზრდელო დაწესებულებებიდან) ბიოლოგიურ ოჯახებში დგანან საკმაოდ ბევრი პრობლემის წინაშე, რაც აისახება როგორც მათი ოჯახის წევრებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობების რაგვარობაზე, ასევე თვითონ როგორც სრულფასოვანი პიროვნების განვითარებაზე.

აღნიშნული კვლევა აქტუალურია ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებსაც მუშაობა უწევთ სახელმწიფო ბავშვზე ზრუნვის სფეროში და რეინტეგრირებული ბავშვების მშობლებისთვის.